საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№21 2005 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრისათვის ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრისათვის წინადადებების შემუშავების მიზნით:

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი პაპუაშვილი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

ზინაიდა ბესტაევა - საქართველოს

სახელმწიფო
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში
შემოსული
ტ.თბილისი № 1187
„21" 01 2005 წ.

ტების მოწესრიგების საკითხებში

გიორგი ჩხეიძე	-	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი
დიმიტრი ძაგნიძე	-	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ხუბუა	-	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი
ლელა ჯანაშვილი	-	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

2. მოწვეულ იქნენ მრჩევლებად ვენეციის კომისიის წარმომადგენლები: პროფ. ჯორჯიო მალინვერნი (შვეიცარია), პროფ. ჟან-კლოდ შოლსემი (ბელგია), პროფ. სერჯიო ბარტოლე (იტალია), პროფ. ჰანს-ჰაინრიხ ფოგელი (შვედეთი, გერმანია), ჯანი ბუკიკიო (ვენეციის კომისიის მდივანი), ტომას მარკერტი (ვენეციის კომისიის მდივნის მოადგილე).

3. კომისიის ამოცანაა შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები ცხინვალის რეგიონის სტატუსის

განსაზღვრისათვის და ორ თვეში წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობას.

4. კომისია უფლებამოსილია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია.

5. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ამტკიცებს კომისიის სამუშაო განრიგს, იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს.

6. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

7. გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს უჭერს სხდომის დამსწრეთა ორი მესამედი.

8. კომისია საქმიანობას წყვეტს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ან კომისიის მიერ დასახული მიზნების მიღწევისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია